საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ფრაქცია

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

11/02/2022
N 09-02-16/60

60-09-02-16-2-202202111413

საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

სადეპუტატო კითხვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 126-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ, გვაცნობოთ:

1. გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია რა სახის ლიცენზიები და ნებართვებია გაცემული საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და მასზე დაქვემდებარებული უწყებების, მათ შორის შემოსავლების სამსახურის მიერ ქ. ბათუმში გოგოლის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 05.29.17.054 და 05.29.17.075) და მასზე განთავსებულ ობიექტებზე.

2. თქვენთვის ცნობილია თუ არა რომ ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე უკანონოდ არის აშენებული შენობები, რომლებზეც არც მშენებლობის ნებართვაა გაცემული და არც ექსპლუატაციაშია მიღებული, სადაც ხორციელდება სამეწარმეო საქმიანობა, მათ შორის იქ საქმიანობენ ადამიანები. გთხოვთ გვაცნობოთ კანონიერად ხორციელდება საქმიანობა თუ არა, იღებთ თუ არა პასუხისმგებლობას იქ მომუშავე ადამიანების უსაფრთხოებაზე, რისკებსა და შესაძლო მძიმე შედეგებზე?

3. საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციით ქ. ბათუმში გოგოლის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 05.29.17.054 და 05.29.17.075) ტერიტორიაზე კომპანიები ეწევიან უკანონო საქმიანობას, მათ შორის ეგრეთწოდებული ფიშინგი, აზარტული თამაშები და სხვა, ასევე იქ დასაქმებული არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით. საინფორმაციო საშუალებებით ინფორმაციის გავრცელების შემდეგ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში არსებული უწყებები ვალდებული იყვნენ თუ არა შეესწავლათ ზემოაღნიშნული საკითხები, მოხდა თუ არა შესწავლა, როდის და რა დაღვევები გამოვლინდა, ასევე რა რეაგირება განხორციელდა დღემდე.

პატივისცემით,

ელგუჯა ბაგრატიონი

თავმჯდომარე

ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"